ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

N 2 ოქმი

25.01.2022

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი

თვითმმართველობის შენობა

რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბატონი მამუკა რიჟამაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ირაკლი შენგელია, თეიმურაზ ნადირაძე, დიმიტრი მხეიძე, მანანა ჩიხლაძე, მაგდა კოსტავა, მერაბ ჭოხონელიძე, ელეონორა არჩაია, გრიგოლ შუშანია.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ირაკლი ქარქაშაძე.

მამუკა სანიკიძე სოციალური სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ალექსანდრე ქათამაძე სოციალურ ღონისძიებათა კოორდინატორი.

სხდომა გახსნა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თამჯდომარემ, ბატონმა მამუკა რიჟამაძემ: მოგესალმებით, დღის წესრიგით

გათვალისწინებული გვაქვს სამი საკითხი, ქვორუმი გვაქვს მინდა წარმოგიდგინოთ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ააი ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის ხელმძღვანელის თამთა ბაკურაძის ანგარიშის მოსმენა.
3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

**მამუკა რიჟამაძე:** წარმოგიდგენთ, პირველ საკითხს, ქალბატონმა ელეონორამ განცხადებით მოგვმართა, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიაში გაწევრიანების შესახებ, თუ თანახმა ხართ გთხოვთ კენჭი ვუყაროთ აღნიშნულ საკითხს.
მადლობა, ერთხმად იქნა გადაწყვეტილება მიღებული, გილოვათ ქალბატონო ელეონორა, როგორც ყოველთვის იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენი მუშაობა ნაყოფიერი იქნება.

მეორე საკითხს წარმოგვიდგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი"-ს ხელმძღვანელი ქალბატონი თამთა ბაკურაძე.

**თამთა ბაკურაძე:** მოგესალმებით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი" (შემდგომ, მადლიერების სახლი) ახორციელებს უფასო კვების პროგრამას, რომელიც გათვალისწინებულია 800 ბენეფიციარზე. აქედან დუმბაძის ქუჩაზე არსებულ სასადილოში სადილობს 650 კაცი, ავტომშენებლის ქუჩაზეზე მდებარე სასადილოში - 150.
მადლიერების სახლის მთავარი დანიშნულებაა ქალაქში მცხოვრები ზედმიწევნით გაჭირვებული მოქალაქეების სოციალური და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მადლიერების სახლში მოქმედებს ბინაზე მიტანის სერვისი, რომელიც ემსახურება გადაადგილება შეზღუდულ 34 ბენეფიციარს.

ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ მადლიერების სახლში ტრანსპორტით გადაადგილებას , სარგებლობენ უფასო მგზავრობის პროგრამით.

ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით ბენეფიციარებს დაურიგდათ ერთჯერადად საახალწლო ნობათები.

ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე , კარანტინის პერიოდში შიეცვალა ბენეფიციართა კვების პროგრამის განხორციელება . კერძოდ, იანვრის თვეში 8 თებერვლის ჩათვლით , 12 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით, 14 აგვისტოდან სექტემბრის თვემდე საზოგადოებრივი ტრანსპორტის აკრძალვის პირობებში, ბენეფიციართა მოყვანა ხდებოდა და დაბრუნება ხდებოდა ქალაქის მერიის მიერ გამოყოფილი მუნიციპალური ავტობუსების მეშვეობით. ბინაზე მიტანის სერვისი ამ პერიოდში განხორციელდა ბენეფიციარზე.

უფასო კვებაზე აყვანის მოთხოვნით :

1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შემოვიდა 107 განცხადება, დაკმაყოფილებულია 99 განცხადება, აყვანილია უფასო კვებაზე 170 მოქალაქე. უარი ეთქვა 8-ს.

მადლიერების სახლის საშტატო ერთეული განისაზღვრება 29 კაცით , შტატგარეშე 3 კაცით.

2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული გვაქვს 762108.03 ლარი.

თანხა დაიხარჯა მიზნობრივად:

1. კვების პროდუქტები ---------- 521659.04 ლარი
2. ხელფასი --------- 152472.00 ლარი
3. შტატგარეშეს ხელფასი --------- 19.800 ლარი
4. ჯილდო 8 მარტთან დაკავშირებით ---------- 2730.00 ლარი
5. ჯილდო წმ. გიორგის დღესასწ. დაკავშირებით -- 3753.00 ლარი
6. დეკემბრის თვის ხელფ. დანამატი ---------- 6255.00 ლარი
7. ჯილდო 8 მარტთან დაკავშირებით შტატგარეშე - 130.00 ლარი
8. ჯილდო წმ. გიორგის დღესასწ. დაკავშირებით შტატგარეშე -- 495.00 ლარი

9. დეკემბრის თვის ხელფ. დანამატი შტატგარეშე ---------- 825.00 ლარი

10. ბიულეტენი -------- 1572.00 ლარი

11.დიზელის საწვავი ---------- 3352.95 ლარი

12. ბენზინი ---------- 2275.46 ლარი

13. ა/მანქანის სათად.ნაწ. და ტექნ. მომსახურების ღირ-ბა ---- 2172.35 ლარი

14. ტრანსორტის დაქ. ხარჯი -------- 150.00 ლარი

15კომუნალური გადასახადები ---------- 24602.55 ლარი

16. დაცვის პოლიციის სამმართველო - ------- 1885,00 ლარი

17. ახ. ქსელები საქალაქო -------- 121.07 ლარი

18. ახ. ქსელების ინტენეტი -------- 696.00 ლარი

19. სილქნეტი -------- 218.53 ლარი

20. წყლის გამაცხელებლის შეძენა ------- 329 ლარი

21. საკურიერო მომსახურება ------- 4.40 ლარი

22. სამზ. ინვენტარის შეძენა ------ 2130.50 ლარი

23. ელექტრ. საქმის წარმოების ------ 192.00 ლარი

24. მოსაკრებელი ტერიტ. დასუფთავების ----- 1455.84 ლარი

25. ლიფტის ტექნიკური მომსახურება ---------- 1100,00 ლარი

26. საკანცელარიო ნივთების ღირ-ბა ---------- 615,52 ლარი

27. კომპიუტერის აქს. კლავიატურა -------- 30.00 ლარი

28. კატრიჯების შეძენა -------- 175.00 ლარი

29. ცეცხლმაქრობის გადამუხტვა ------- 168,00 ლარი

30. კომპ. პროგრამის განახლება -------- 500.00 ლარი

31. პ/ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯი ------- 2899.60 ლარი

32. დეზინფექციის და დერატ. დაკ. ხარჯი --------- 1660.00 ლარი

33.სამეუნეო საქონლის შეძენა -------- 1207.65 ლარი

34. ტენდერის ხარჯი ------- 525.00 ლარი

35. კვების ტალონების დაბეჭდვა --------- 225.00 ლარი

36. კომპ. შეკეთების ხარჯი ---------- 420,00 ლარი

37. გაზქურის გაწმენდის ღირ-ბა --------- 187.50 ლარი

38. წყლის სინჯზე ლაბორატ. მომსახურება --------- 260.00 ლარი

39. ხორცის საკეპი მანქანის შეძენა --------- 399,00 ლარი

40. სსიპ აღსრ. ბიუროს გაწ. მომსახურების ღირ-ბა ----- 200,00 ლარი

41. მანქანის დაქირ. მძღოლთან ერთად ---------- 150.00 ლარი

42. ა/მანქანის საბურავების შეძენის ღირ-ბა ---------- 500,00 ლარი

43. ა/მანქანის ტექ. დათვალ. მომსახურ. ღირ-ბა ------- 60,00 ლარი

44. სამზარეულოს პერსონალითვის უნიფორმის შეძენის ღირ-ბა -- 1550.00 ლარი

**2021 განმავლობაში განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვა აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარებული შემდეგი ელექტრონული ტენდერებით:**

1 იანვარი :

1. შესყიდვის საგანი: ქალაქ ქუთაისის ააიპ „მადლიერების სახლი"-სთვის პურის შესყიდვა. ერთეულის ფასი: 1,34 თეთრი. საერთო ჯამი: 117920 ლარი. გამარჯვებული - შპს „ალატი";

2. შესყიდვის საგანი: საქონლის ხორცის (8240 კგ) და ქათმის ბარკალი (5000 კგ ) შესყიდვა. ჯამი: 154 220 ლარი. გამარჯვებული- შპს „გურამა";

3. შესყიდვის საგანი: 40 800 ცალი ქათმის კვერცხი, ერთეულის ფასი: 0,298 სულ ჯამი: 12158,4 ლარი. გამარჯვებული - ი/მ ნანი გოგოლაძე

4. შესყიდვის საგანი: 6240 კგ. გაყინული თევზი „სკუმბრია". ერთეულის ფასი: 7 ლარი და 30 თეთრი. საერთო ღირებულება: 45552 ლარი. გამარჯვებული - შპს სპორტ დეველოპმენტი

5. შესყიდვის საგანი: ქუთაისის ააიპ „მადლიერების სახლი"-სათვის სხვადასხვა დასახელების ბოსტნეულის, ბურღულეულისა და ხილის შესყიდვა. საერთო ფასი: 89848 ლარი. გამარჯვებული- ი/მეწარმე ,,ნანი გოგოლაძე"

6. შესყიდვის საგანი: რძის ფხვნილი 840 კგ. ერთეულის ფასი: 11,77. საერთო ჯამი: 9886,8 ლარი. გამარჯვებული - შპს სახანძრო ტექნიკი

11 იანვარი

1. შესყიდვის საგანი: სხვადასხვა დასახელების საკვები პროდუქტების შესყიდვა. საერთო ღირებულება: 23 000 ლარი. გამარჯვებული- შპს დეველოპმენტ გრუპი

25 იანვარი

1. შესყიდვის საგანი: ტომატ-პასტისა და კისელის შესყიდვა. საერთო ფასი: 12982 ლარი. გამარჯვებული - **ი/მეწარმე ,,ნანი გოგოლაძე"**

2. შესყიდვის საგანი: რაფინირებული 5000 ლიტრი ზეთი. ჯამური ღირებულება 27861,5 გამარჯვებული - ვლადიმერ გურგენიძე

3. შესყიდვის საგანი: სოსისის შესყიდვა. საერთო ფასი: 21632 ლარი. გამარჯვებული - **ი/მეწარმე ,,ნანი გოგოლაძე"**

24 მაისი

შესყიდვის საგანი: სხვადასხვა საკვები პროდუქტების შესყიდვა. საერთო ფასი: 18307,5 ლარი. გამარჯვებული - **ი/მეწარმე ,,ნანი გოგოლაძე"**

2 ივნისი

შესყიდვის საგანი: თევზი სკუმბრია. საერთო ფასი: 35526 ლარი. გამარჯვებული - **შპს Fish world**

10 დეკემბერი

ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლისათვის ქათმის კვერცხის შესყიდვა, ჯამური ღირებულება 17472 ლარი. გამარჯვებული **შპს ნიკა**

ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლისათვის მზესუმზირის ზეთის შესყიდვა. ჯამური ღირებულება 30 000 ლარი, გამარჯვებული **შპს ნიკა**

13 დეკემბერი

ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლისათვის ტომატ-პასტისა და კისელის შესყიდვა, ჯამური ღირებულება 15395 ლარი. გამარჯვებული **ი/მეწარმე „ნანი გოგოლაძე"**

15 **დეკემბერი**

ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლისათვის სოსისის შესყიდვა, ჯამური ღირებულება 23337.6 ლარი. გამარჯვებული **ი/მეწარმე „ნანი გოგოლაძე"**

ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლისათვის პურის შესყიდვა, ჯამური ღირებულება 193600 ლარი, გამარჯვებული **შპს ალატი.**

16 **დეკემბერი**

გაყინული თევზი უთავო სკუმბრია. საერთო ფასი: 71760 ლარი ლარი. გამარჯვებული **- შპს Fish world**

ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლისათვის სხვადასხვა დასახელების ბურღულეულის, ბოსტნეულის და ხილის შესყიდვა, ჯამური ღირებულება 100455.28 ლარი, გამარჯვებული **ი/მეწარმე „ნანი გოგოლაძე".**

22 **დეკემბერი**

ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლისათვის მაკარონის, შაქარის, მარილის, სანელებლების და არომატული ბალახების (მწვანილი) შესყიდვა. გამარჯვებული **ი/მეწარმე „ნანი გოგოლაძე".** ჯამური ღირებულება 32989 ლარი.

ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლისათვის დარბილებული საქონლის ხორცის და ქათმის ხორცის (ბარკალი) შესყიდვა, ჯამური ღირებულება 155000 ლარი, გამარჯვებული ი/მ **ვლადიმერ გურგენიძე.**

30 **დეკემბერი**

ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლისათვის რძის ფხვნილის შესყიდვა, ჯამური ღირებულება 12750 ლარი, გამარჯვებული **ი/მეწარმე „ნანი გოგოლაძე".**

**მამუკა რიჟამაძე:** მენიუ როგორ არის?

**თამთა ბაკურაძე:** მენიუ არის წვნიანები, ცხელი საჭმელები,

ორშაბათი: ბულიონი, ფაფა, კისელი, პური სულადობის მიხედვით, სულზე ერთი პური 300 გრამიანი.

სამსაბათი: თევზი, წიწიბურა, კომპოტი.

ოთხშაბათი: ზეთიანი ლობიო, ბრინჯის ფაფა, კისელი

ხუთშაბათი: კატლეტი, წიწიბურა, ბარდის სუპი, კომპოტი

პარასკევი: ბორში, მოხარშული კვერცხი და სოსისი, კისელი

**თეიმურაზ ნადირაძე:** რამდენი სოციალური ქულა უნდა ქონდეს ბენეფიციარს?

თამთა ბაკურაძე: 65 000 ქულა უნდა ქონდეს, მაგრამ, თუ წერილობით მოგვმართავს მოქალაქე მერის თანხმობის შემთხვევაში ხდება დამატება, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა უარი გვეთქვას მოქალაქისთვის.

**გრიგოლ შუშანია:** რამდენი ოჯახი სარგებლობს ამ სერვისით?

**თამთა ბაკურაძე:** 400 ოჯახი. ადგილზე გვას 15 მაგიდა, არ გვაქვს მომართვიანობა რომ მეტი მაგიდა გვქონდეს.

**თამთა ბაკურაძე:** უნდა ავღნიშნო, რომ საჭიროებს შენობა რეაბილიტაციას, არის ავარიული.

ირაკლი ქარქაშაძე: მოვლენებს არ გავასწრებ, ვეძებთ დონორ ორგანიზაციებს, მათ შორის ჩვენთანაც არის თანხა გამოყოფილი, აქტიურად ვფიქრობთ როგორ გაუმკლავდეთ ამ პრობლემას. გადახურვა იქნება ეს თუ ფანჯრების ჩასმა.

**მამუკა რიჟამაძე:** ჩემი დიდი სურვილია მადლიერების სახლს ქონდეს საშხაპე ოთახი და სამრეცხაო. გახსოვთ ალბათ ადრეც კომისიის სახელით გავეცით რეკომენცია სამრეცხაოს მოწყობის შესახებ.

კომისიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გასცეს რეკომენდაცია მადლიერების სახლის შენობის რეაბილიტაციის, მენიუს გაუმჯობესების, ბანეფიციარებისთვისთვის სამრეცხაო და პირადი მოხმარების საშხაპე ოთახების მოწყობის შესახებ.

**მამუკა რიჟამაძე:** დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-3 საკითხს წარმოგვიდგენს ალექსანდრე ქათამაძე, ქალაქ ქუთაისი მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსაურის სოციალურ ღონისძიებათა კოორდინატორი.

**ალექსანდრე ქათამაძე:** წარმოგიდგენს 2022 წლის ბიუჯეტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამებში შესატან ტექსტობრივ და რიცხობრივ ცვლილებებს.
მედიკამენტების მომსახურებით დავიწყებ. აქ გვაქვს მატება 80 000 ლარის ოდენობით, გასულ წელს 150 ლარს ითვისებდა ბენეფიციარი წელიწადში ერთხელ, ეხლა გვაქვს მატება და იქნება 200 ლარი. ასევე გვაქვს ტექსტობრივი ცვლილება, სამედიცინო მომსახურების პროგრამაში, როდესაც ონკო და კარდიოლოგიურ პაციენტებს შეეძლოთ აეთვისებინათ კუთვნილი თანხა ეტაპობრივად ეხლა შეუძლიათ სრულად აითვისონ სურვილის და საჭიროების შემთხვევაში. იცით, რომ გასულ წელს კარდიოლოგიურ კვლევებს არ ვაფინანსებდით, ეხლა კარდიოლოგიური კვლევები შეგვიძლია დავაფინანსოთ, მაგალითად როგორიცაა კორონალოგრაფია. ესევე დამატებული გვაქვს ბავშვთა ოფთალმოლოგია, ვაფინანსებთ 1000 ლარის ოდენობით, ქირურგიულ ჩარევას. კოვიდით ვინც დაინფიცირდება და გარდაიცვლება სამედიცინო დაწესებულებაში ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით შეგვიძლია დავეხმაროთ.
**ირაკლი ქარქაშაძე:** ვეხმარებით, კოვიდით გარდაცვლილ პაციენტის ოჯახს რადგან, გარდაცვალების შემდგომ პარკში ჩასვენების და სპეციალური მომსახურება ჯდება კიდევ 250 ლარი, ვეხიდებით ოჯახს აღნიშნული თანხის გადახდაში, გვქონდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოგვმართა ოჯახმა. სამედიცინო პერსონალის უნდობლობის გამო, ცხედარი გადაგვესვენებია რუსთავში ექსპერტიზაზე, სიკვდილის მიზეზის დასადგენად, ეს ხარჯებიც ჩვენ დავაფინანსეთ.
**ირაკლი შენგელია:** კოვიდ პანდემია როდესაც დაიწყო, ელექტრონულად გავხადეთ შესაძლებელი პროგრამებით სარგებლობა, ძალიან გაამართლა ამ მიდგომამ, მე სურვილი მაქვს გაჩნდეს ახალი ელექტრონული პლატფორმა სადაც ბენეფიციარი შეიყვანს მის პირად მონაცემებს და მდგომარეობას და მიიღებს ინფორმაციას თუ რომელი პროგრამით შეუძლია სარგებლობა. დავაფიქსიროთ კომისიურად ჩვენი რეკომენდაცია, და ვფიქრობ ბატონი ირაკლიც შეგვიწყობს ხელს.

**მამუკა რიჟამაძე:** ელექტონულ ტექნიკასთან ნაკლები შეხება აქვთ მოხუცებს, ამიტომ ვფიქრობ საინფორმაციო ბარათების გაკეთება კარგი იქნება.

**ირაკლი ქარქაშაძე:** ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ, გადავწყვიტეთ და ალბათ საპილოტეთ 2 კვირაში იქნება პროგრამა სადაც ბენეფიციარი შეიყვანს მის მონაცემებს და ის ინდივიდუალურად დაუთვლის თუ რომელი პროგრამით შეუძლია სარგებლობა. ბუკლეტებს რაც შეეხება, გასულ წელს ვცადეთ, მაგრამ კარგად არ იმუშავა, ელექტრონული პლატფორმა უკეთესი იქნება.

**ალექსანდრე ქათამაძე:** ცვლილება გვაქვს სოციალურ ღონისძიებებში, შშმ ბავშვების 3 დან 18 წლამდე, 15000 ქულა გვქონდა ჩანაწერით 15 ბენეფიციარი გვყავდა მხოლოდ, ქულა ავწიეთ 200 000 მდე, რომ უფრო ბევრმა ბავშვმა ისარგებლოს ასევე იყო შშმ ვეტრანების მაგნიტურ ქვიშაზე დასვენება და გავაუქმეთ მათი რეაბილიტაცია რადგან არ გამოიკვეთა საჭიროება ამ პროგრამის, რომ შშმ ვეტერანებს რეაბულიტავია გაევლოთ ურეკში. ასევე 90 000 ლარის მატება გვაქვს მრავალშვილიანების დახმარების პროგრამაში.

კომისიამ ერთხმად გამოთქვა ინიციატივა, გაჩნდეს ელექტრონული პლატფორმა, სადაც მოქალაქე შეიყვანს მის პირად მონაცემებს და მიიღებს ინფორმაციას თუ რომელი სერვისით სარგებლობის უფლება აქვს, აგრეთვე შიქმნას საინფორმაციო ხასიათის ბარათები

სადაც იქნება სახლმწიფოს და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ჩამონათვალი.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომა დაასრულა.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
მამუკა რიჟამაძე